ურთიერთგაგების მემორანდუმი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ "საქპატენტს" და ლიტვის რესპუბლიკის სახელმწიფო საპატენტო ბიუროსა შორის

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი "საქპატენტი" და ლიტვის რესპუბლიკის სახელმწიფო საპატენტო ბიურო („სსბ"), შემდგომ მოხსენიებულნი როგორც „უწყებები",

ითვალისწინებენ რა, რომ:

სამრეწველო საკუთრება შემოქმედებითი საქმიანობისათვის ხელშეწყობისა და უცხოური ტექნოლოგიის გადაცემისა და შეძენის სტიმულირებით ასრულებს მნიშვნელოვან როლს ეროვნული სიმდიდრის შექმნაში მთელ მსოფლიოში;

ორივე ქვეყანა ესწრაფვის გააძლიეროს სამრეწველო საკუთრების უფლებების დაცვა და შექმნას უკეთესი ეკონომიკური პირობები საკუთარი სამრეწველო დარგებისათვის, კერძოდ, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის, რომლებიც ითხოვენ სამრეწველო საკუთრების უფლებების დაცვას;

არსებობს საერთო სურვილი, განაგრძონ წარმატებული თანამშრომლობა უწყებებს შორის სამრეწველო საკუთრების დაცვის პრაქტიკულ და საორგანიზაციო საკითხებში;

მხარეები მზად არიან, გააერთიანონ ძალისხმევა სამრეწველო საკუთრების უფლებების დაცვის სფეროში, ასევე გაუზიარონ ერთმანეთს მოსაზრებები და რეგულარულად შეიტანონ თავის საქმიანობაში ის სიახლეები, რომლებიც დაკავშირებულია სამრეწველო საკუთრების დაცვის პროცედურებსა და პრაქტიკასთან, ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებასთან უწყებებში, რაც ქმნის ყველაზე ეფექტურ პირობებს სამრეწველო საკუთრების უწყების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის;

მხარეები დარწმუნებულნი არიან, რომ ორმხრივი ურთიერთობების დამყარება ემსახურება ამ მიზნების განსახორციელებას და ასეთი ორმხრივი ურთიერთობები უწყებებს შორის ხელს არ უშლის ამჟამინდელ თუ მომავალ

თანამშრომლობას იმ მრავალმხრივი თუ ორმხრივი ხელშეკრულების დონეზე, რომლებშიც უწყებები მონაწილეობენ, ან რომელშიც მათ შეიძლება მიიღონ მონაწილეობა;

უწყებებს გააჩნიათ ადამიანური, ტექნიკური და მატერიალური საშუალებები, რომლებიც საჭიროა წინამდებარე მემორანდუმში ფორმულირებული მიზნებისა და ვალდებულებების შესასრულებლად;

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1
სამრეწველო საკუთრების პრაქტიკა

უწყებები აწვდიან ერთმანეთს ინფორმაციას სამრეწველო საკუთრების ობიექტების ექსპერტიზასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკუთარი პრაქტიკის შესახებ. კერძოდ, ერთმანეთს გაუზიარებენ მოსაზრებებსა და გამოცდილებას კლასიფიკაციის, ძიების, ექსპერტიზის, შედავების პროცედურებისა და ხარისხის კონტროლის შესახებ.

მუხლი 2
ინფორმაციის ურთიერთგაცვლა ავტომატიზებული სისტემების შესახებ

1. უწყებები ცვლიან ინფორმაციას მონაცემთა ბაზების ფორმირებისა და გამოყენების ინტეგრირებულ სისტემებთან დაკავშირებით, კერძოდ, ტექნიკური ასპექტების, რეგისტრაციის პროცედურებისა და ინფორმაციის ნაკადების ავტომატიზების, სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე ელექტრონული სახით განაცხადების შეტანის, ძიების მოთხოვნებისა და ძიებაზე ანგარიშების გაცემის შესახებ.

2. უწყებები ერთმანეთს აწვდიან ინფორმაციას ძიების საკუთარი კრიტერიუმებისა და სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე შესაძლო დარღვევებთან დაკავშირებული სტრატეგიის შესახებ

3. უწყებები ერთმანეთს აწვდიან ინფორმაციას ელექტრონული საშუალებების იმ შესაძლო განვითარების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია სამრეწველო საკუთრების ობიექტების კლასიფიკაციასა და რეგისტრაციასთან.

მუხლი 3
ექსპერტების გაცვლა

1. უწყებები ახორციელებენ ტექნიკურ თანამშრომლობას სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში, რაც მოიცავს ტექნიკურ ტრეინინგსა და საინფორმაციო შეხვედრების, ლექციებისა და სემინარების ორგანიზებას.

2. მოთხოვნის შემთხვევაში უწყებები ცვლიან ექსპერტებს და უზრუნველყოფენ მათ სამუშაო ადგილითა დ სასწავლო-სამუშაო პროგრამით.

მუხლი 4
ცოდნის გავრცელებასთან დაკავშირებული საქმიანობა

უწყებები აერთიანებენ ძალისხმევას ეროვნული სამრეწველო საკუთრების სისტემების შესახებ ცოდნის მათ ტერიტორიებს გარეთ გავრცელებისა და გაგების გაუმჯობესებისაკენ მიმართულ საქმიანობასა და ღონისძიების ერთობლივად განხორციელების ხელშეწყობაში.

მუხლი 5
იურიდიული საკითხები

უწყებები ერთმანეთს აცნობებენ მნიშვნელოვანი იურიდიული საკითხების, კერძოდ, ახალი საკანონმდებლო ცვლილებების, სამართალმცოდნეობისა და სასამართლო პრაქტიკის შესახებ.

მუხლი 6
შეხვედრები უწყებებს შორის

სამრეწველო საკუთრების უფლებებთან დაკავშირებული უკანასკნელი სიახლეების დროულად გათვალისწინების მიზნით უწყებები აწყობენ შეხვედრებს ვილნიუსსა (ლიტვა) და თბილისში (საქართველო); შეხვედრების სიხშირე და თარიღები დადგინდეს საერთო შეთანხმებით.

მუხლი 7
კორესპონდენცია

წინამდებარე შეთანხმების აღსრულებასთან დაკავშირებული ყველა კომუნიკაცია უნდა იყოს წერილობითი სახისა და უნდა მიუთითებდეს ამ მემორანდუმზე.

მუხლი 8
მგზავრობის ხარჯები

როგორც წესი, თუ სხვაგვარად არაა შეთანხმებული, თითოეული უწყება საკუთარ თავზე იღებს ნებისმიერი იმ პირის სამგზავრო და დღიურ ხარჯებს, რომელიც მისი სახელით არის გაგზავნილი მეორე უწყებაში.

მუხლი 9
ურთიერთგაგების მემორანდუმის მოქმედების შეწყვეტა

ურთიერთგაგების მემორანდუმის მოქმედება შეწყდება:

1. თუ საქპატენტი წერილობით შეატყობინებს სსბ-ს ურთიერთგაგების მემორანდუმის შეწყვეტის შესახებ; ან

თუ სსბ წერილობით შეატყობინებს საქპატენტს ურთიერთგაგების მემორანდუმის შეწყვეტის შესახებ.

2. ურთიერთგაგების მემორანდუმის მოქმედების შეწყვეტა ამ მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით ძალაში შევა ექვსი (6) თვის შემდეგ იმ დღიდან, როდესაც მეორე მხარემ მიიღო შეტყობინება, თუკი ასეთ შეტყობინებაში დადგენილი არაა უფრო ხანგრძლივი პერიოდი, ან თუ ორივე მხარე არ შეთანხმდება უფრო მოკლე პერიოდზე.

მუხლი 10
ძალაში შესვლა

1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან.

2. შესრულებულია თბილისში, საქართველო, 2008 წლის 16 ივნისს ინგლისურ, ქართულ და ლიტვურ ენებზე, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი ძალა. მემორანდუმის ტექსტის ინტერპრეტაციისას მხარეთა შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში გამოიყენება ინგლისური ტექსტი.

სსბ-ს სახელით
რიმვიდას ნაუჟოკასი
დირექტორი

ისეც-ის სახელით
დავით გაბუნია
გენერალური დირექტორი